ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01201681709**
თარიღი: **16/06/2020**
პინი: **1397**

ადრესატი: შპს რედიკორი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 406222733
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვ.გორგასალის ქ., N 61, ბ. 9

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/0119282946-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, მორეტია ქუჩაზე, N24ა, მორეტის ქუჩაზე N24ა-ს მიმდებარედ (საკ. კოდი N01.11.12.002.116)2019 წლის 23 მარტის N4434705 (AR1669034) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

,,1-10“ ფასადი: ,,5-6“ და ,,7-8“ მონაკვეთებში ფანჯრებს ვერტიკალურად ადგილი აქვთ მონაცვლებული.

-3.13 ნიშნულზე ,,ა-ი“ და ,,1-5“ მონაკვეთებში შემომზღუდავი კედლების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს, ასევე შეცვლილია ფანჯრის ღიობების რაოდენობა, მდებარეობა, გაბარიტი და ვიზუალი.

±0.00 ნიშნულზე, გაუქმებულია ავტოსადგომი, მოწყობილია ბლოკის კედლები. ,,2-6“ - ,,ზ-ი“ მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი, შეცვლილია იატაკის ფილის და გარე კედლების კონტური. დამატებით მოწყობილია შემომზღუდავი კედლები, კარ-ფანჯრის და ვიტრაჟების ღიობები.

+18.54 ნიშნულზე ,,5-6“ - ,,ა-ბ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბის უჯრედი და დასხმულია იატაკის ფილა. ,,ბ“ ღერძთან, ,,5-8“ მონაკვეთში შემცირებულია კოლონების განივი კვეთის გაბარიტი. ,,ბ“ ღერძთან, ,,8-9“ მონაკვეთში შემცირებულია სავინტილაციო შახტის გაბარიტი. საცხოვრებელი ფართის იატაკის დონე და სართულის სიმაღლე არ შეესაბამება საპროექტოს. კიბის უჯრედში შეცვლილია კარის მდებარეობა. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების გაბარიტი. ,,ა-ბ“ მონაკვეთში, ,,4“ და ,,6“ ღერძებთან, შეცვლილია კედლების ფორმა.

+21.50 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ლიფტის სამანქანო და გაზრდილია შენობის სიმაღლე დაახლოებით 80 სმ-ით.

შენობაში მონოლითური და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული დაფერვით. ,,1-ა“ ღერძთან შეცვლილია კოლონის ფორმა. ,,დ-ე“ - ,,8-9“ მონაკვეთში შეცვლილია კოლონებს შორის მანძილი. შემცირებულია ლიფტის კაბინის გაბარიტი. კიბის უჯრედებში მოაჯირების ნახატი არ შეესაბამება საპროექტოს. ფასადებზე გათბობა-კონდიცირების აგრეგატების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტოს.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ბეტონის კაპიტალური კედლები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

